



ტექსტი  
თემურაზ ქორიძე

TEXT  
**Teimuraz Koridze**

ფოტო  
ალექსანდრე კოტორაშვილი, პაატა ნაცვლიშვილი,  
ჯემალ კასრაძე, დიმიტრი დონსკოი, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)

PHOTO  
**Aleksandre Kotorashvili, Paata Natsvlishvili, Jemal Kasradze,  
Dmitri Donskoy, www.sportphoto.ge**

ISSN 2233-3096  
ISBN 978-9941-0-4161-7

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

# ლერი ხაბელოვანი

2012

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია  
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION



ხალხით გაჭედილი დარბაზი გამაყრუებლად გუგუნებდა — წამის წინ ლერი ხაბელოვმა ასკილოგრამიანი ტიტულიანი მეტოქე ჰაერში აიტაცა და საჭიდაო ხალიჩას ბეჭებით გააკრა. გამარჯვებულის მწვრთნელმა ნაღვლიანი სახით ელექტროსაათზე გაჩერებულ დროს გახედა — ერთი წუთი და თორმეტი წამი.

რეფერიმ ხაზგასმული მოწინებით აღმართა ჩემპიონის ძლევამოსილი მარჯვენა. მეტოქებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. გამარჯვებულს ტრიბუნებისაკენ არც გაუხედავს — თავჩაქინდრული სწრაფად გაეცალა აბობოქრებულ დარბაზს — ლერი!.. ლერი!..

ეს იყო ლერი ხაბელოვის უკანასკნელი ორთაბრძოლა საჭიდაო ხალიჩაზე. ცხოვრებაში... ცხოვრებაში კი დაუმარცხებელ ფალავანს კიდევ ბევრი ბრძოლა უნდა გადაეხადა.


ლერი ხაბელოვი არ არის ის დიდი სპორტსმენი, ვინც ჯერ თამაშ-თამაშით დალაშქრა ყველა მიუვალი მწვერვალი, სპორტულ ცხოვრებაში ყველა საიდუმლო ამოხსნა, ყველა სიამე იგემა და მერე საკუთარი ნამუშავარით ტკბობას მიეცა. მან მუდამ ბრძოლის ქარცეცხლში უნდა იტრიალოს, კეთილისა და ბოროტის მარადიულ მეტოქეობაში სიკეთეს დარაჯად ედგეს, წერილმან ვნებებზე ამაღლდეს, ათას ჭორსა და ცილისწამებას გაუძლოს.

ასეთია მისი ბედისწერა.

საერთოდ, ასეთია ყველა დიდი ადამიანის ბედისწერა.

\* \* \*

პატარა წიგნი, გნებავთ, ნარკვევი დაარქვით, ლერი ხაბელოვზე, დედამიწაზე არსებული ყველა სპორტული ტიტულის მქონე მოჭიდავეზე, ჯერ კიდევ 2008 წლის შემოდგომამდე უნდა დამეწერა. ასეთი იყო პირობა ჩემსა და საქართველოს სპორტულ უურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს, ბატონ ელგუჯა ბერიშვილს შორის.





მასალებიც შევაგროვე, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტს, ძალიან მოუცლელ ლერი ხაბელოვსაც ბევრჯერ შევხვდი, ბევრ საინტერესო ადამიანს ვესაუბრე, მაგრამ, საბოლოოდ, ბატონ ელგუ-ჯასთან დადებული სიტყვიერი შეთანხმების შესრულება ვერ მოვახერხე. უფრო სწორად, გადავდე — მოვლენები მთლიანად საქართველოში და ლე-რი ხაბელოვის ირგვლივაც ისეთი სისწრაფით და ყოვლად მოულოდნელი მიმართულებებით განვითარდა, რომ დაცდა ვამჯობინე.

ოდესმე ლერი ხაბელოვის ცხოვრებაზე უთუოდ დაინერება დიდი წიგნი. ისეთი, მომავალ თაობებს სიყვარულის, ერთგულების და კაიკაცობის მაგალითად რომ გამოადგება. იმ დიდ წიგნს ან თვითონ ლერი ხაბელოვი დაწერს, ან ვინმე სხვა.

სადღაც, გულის კუნჭულში იმაზე ოცნებასაც ვძედავ, რომ ის „ვინმე სხვა“ მე ვიყო.

\* \* \*

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს აქტიური სპორტიდან წავიდა ლეგენდარული „დიდი ტედი“ — ლევან თედიაშვილი.

მსოფლიო სახელის მქონე ფალავნებით განებივრებული ქართული სპორტის ისტორიაშიც კი, ლევან თედიაშვილი უნიკალური მოვლენა და, ვთქვათ ალალად — დამთრგუნველი ავტორიტეტის მქონე სპორტსმენია. თავად განსაჯეთ: მიუწენის და მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მფლობელი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი... მეოცე საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი... ერთადერთი მოჭიდავე თავისუფალი სტილით ჭიდაობის ისტორიაში, ვინც მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის ტიტულები სამ წონით კატეგორიაში (82, 90, 100) მოიპოვა; ვინც ისე, სასხვათაშორისოდ, მწვრთნელების და მეგობრების თხოვნით დათანხმდა თავისუფალისაგან სრულიად განსხვავებული ჭიდა-

ობის სახეობის, სამბოს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე და... ჩემ-პიონის ტიტულიც მოიპოვა!

ლევან თედიაშვილი ისევე არ არის მხოლოდ დიდი, გნებავთ, სასიქადულო მოჭიდავე, როგორც ბორის პაიჭაძე მხოლოდ დიდი ფეხბურთელი, ან ნონა გაფრინდაშვილი მხოლოდ დიდი მოჭადრაკე.

ვიქტორ სანევი, ნონა გაფრინდაშვილი, ლევან თედიაშვილი, გივი კარტოზია, ვახტანგ ბალავაძე, ომარ ფხავაძე, შოთა ჩოჩიშვილი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი... ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც ქართული სპორტის ისტორიაში უნიკალური წვლილის შეტანა მოახერხეს, სათავე დაუდეს ახალ ეპოქას სპორტის ამა თუ იმ სახეობაში. ისინი სამართლიანად ითვლებიან ეროვნულ გმირებად.

ისტორიული კანონზომიერებიდან გამომდინარე, გასული საუკუნის 80-იანი წლების გარიურაჟზე ქართული სპორტის ისტორიაში აუცილებლად უნდა გამოჩენილიყო ადამიანი, ვინც წინამორბედთა სახელოვან ტრადიციებს გააგრძელებდა — ღირსეულად დაეპატრონებოდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო იმპერატორის ტახტს, რომელსაც „დიდი ტედის“ აჩრდილის შიშით მიახლოებასაც ვერავინ უბედავდა. ლევან თედიაშვილთან მრავალწლიანი და წარუმატებელი ქიშპობით ქანცგანწყვეტილი ძმები პეტერსონები იმპერატორის კვერთხის მზიდველებად ვეღარ გამოდგებოდნენ.

ჭიდაობის სამყარო სულგანაბული ელოდა ახალი ეპოქის დასაწყისს, ახალი ძლევამოსილი ფალავნის გამოჩენას.

და იგი მოვიდა. მოვიდა ისევ იმ ძველი, ფალავნების ქვეყნიდან — საქართველოდან და სამეფო ტახტზეც მორქმით დაჯდა. მისი სახელი დიდ-სანს, თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში თავზარს სცემდა მეტოქე-ებს და აღაფრთოვანებდა გულშემატკივრებს მთელ დედამიწაზე — ლერი ხაბელოვი!..


ნათქვამი გადაჭარბებულად რომ არ მოგეჩვენოთ, ავდგები და, 2006 წელს გამოცემული „სპორტის ენციკლოპედიიდან“ ოფიციალურ ინფორმაციას გადმოვწერ:



„დაიბადა 1964 წლის 5 ივლისს, თბილისში. თავისუფალი ჭიდაობა (100 კგ). 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 1988 წლის სეულის ოლიმპიადის მეორე პრიზიორი და 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის მონაწილე (ტრავმის გამო შეჯიბრებას მესამე წრიდან გამოეთიშა). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1985, 1987, 1990, 1991, 1993) და მესამე პრიზიორი (1995), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1985, 1987, 1988, 1992), მსოფლიოს თასის მფლობელი (1991), მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკებსა (1981) და ახალგაზრდებს (1982) შორის, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი (1985, 1987, 1988) და მეორე პრიზიორი (1990), საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი (1986), თბილისის საერთაშორისო ტურნირების ექვსგზის ჩემპიონი (1985, 1986, 1987, 1988, 1989, 1990); გერმანიის, ბულგარეთისა და პოლონეთის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული...“

ბუნებრივია, ენციკლოპედიაში არ არის მოხსენიებული კიდევ არაერთი დიდი და მცირე ტურნირი, სადაც ლერი ხაბელოვს გაუმარჯვია. ასეთია ენციკლოპედიური გამოცემის ფორმატი. ისიც სავსებით გასაგებია, რომ თითქმის შეუძლებელია იმ შრომის და თავდადების სიტყვებით გადმოცემა, რაც ჩვეულებრივ დგას თავბრუდამხვევი წარმატებების უკან. რაც შეეხება ერთ დროს მთელ მსოფლიოში ერთობ პრესტიულ და პოპულარულ თბილისის საერთაშორისო ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში, ექსპერტების ერთსულოვანი აზრით, მონაწილეთა სიძლიერის და რაოდენობის მიხედვით, იგი თვით მსოფლიო ჩემპიონატებსაც კი აღემატებოდა.

და კიდევ ორიოდე მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც არ არის მოხსენიებული ენციკლოპედიაში: 1985 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი; ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი; 2008 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს ვლადიკავკაზში და... ძალიან მტკიცა გული ამას რომ ვამბობ: ოჯახთან ერთად ცხოვრობს ვლადიკავკაზში და, მისივე განცხადებით, ოცნებობს მშობლიურ საქართველოში დაბრუნებაზე. ლერი საბელოვი, ნებისმიერი განათლებული ქვეყნის საოცნებო ადამიანი, თურმე, სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს!




ვლადიმერ მესტვირიშვილი  
და ლერი ხაბელია

მოდი, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი მის სპორტულ კარიერას: თორმეტი წლის ასაკიდან მოყოლებული, ლერი ხაბელოვა მოიგო მსოფლიოში არსებული ყველა მნიშვნელოვანი ტურნირი. რა თქმა უნდა, იყო იმედგაცრუებაც, ტრავმებიც, უსამართლობაც, მაგრამ მაინც განუზომლად მეტი იყო ოვაციები და გამარჯვების სიხარული; ის სიყვარული და პატივისცემა, რასაც მშობელი ხალხი მიაგებს ხოლმე ღირსეულ შვილს.

მას შემდეგ, რაც ავჭალელმა ბიჭმა თავისი პირველი ტურნირი მოიგო, თითქმის არ დასმულა შეკითხვა, როგორ ახერხებდნენ ხაბელოვი და მისი მწვრთნელები ასეთი წარმატებების მოპოვებას. სამაგიეროდ, მის ნებისმიერ უმცირეს წაფორჩილებას გულშემატკივართა არმია, სპორტის მესვეურები და თვით ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობაც კი ლამის ეროვნულ ტრაგედიად და პირად შეურაცხყოფად აღიქვამდნენ.

ლერი ხაბელოვი: „1985 წელს პირველად გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი. ეს იყო უმძიმესი ბრძოლების წყება. არ ვგულისხმობ მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონობისთვის გამართულ ტურნირს. ვგულისხმობ იმ გზას, ჩემპიონა-




ტის მთავარ ტურნირამდე რომ უნდა გაგევლო. მე, ჯერ კიდევ გამოუცდელ ოციოდე წლის თბილისელ ბიჭს, ჩემპიონატზე მოსახვედრად უნდა დამე-მარცხებინა საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები, ათას ბრძოლაში გამობრძმედილ-გამოწრთობილი ფალავნე-ბი: ხადარცევი, ნანიევი, მაგომედოვი, ბისულთანოვი, მატე... ესეც არ იყო საკმარისი — მეტოქები ისე უნდა დამემარცხებინა, რომ მოსკოველ მთა-ვარ მწვრთნელებს ჩემს შესაძლებლობებში იოტისოდენა ეჭვიც არ შეპარ-ვოდათ. მეტოქებზე მთელი თავით მაღლა უნდა ვმდგარიყვი. რაც მთა-ვარია, მანამდე აქ, საქართველოში უნდა გავმხდარიყვი პირველი. ტრადი-ციულად, ტალანტებით მდიდარ საქართველოში კი ჭიდაობის ნებისმიერ სახეობაში პირველობის მოპოვება ურთულესი პრობლემა იყო და არის.


ეს ნახევრად ხუმრობა, თუ არ ვცდები, ჩემს უფროს კოლეგას და მეგო-ბარს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ გურამ სალარაძეს ეკუთვნის: თუ გეპეის (პოლიტექნიკური ინსტიტუტის) პირველობას მოიპოვებ, მსოფლიო ჩემპი-ონობას წინ ალარაფერი უდგასო!



ლეგენდარული  
ფალავნები —  
ლერი ხაბელოვი და  
სოსლან ანდიუები



ლერი ხაბელოვი და  
გია გალდავა



ღური ხაბელოვმა და  
დავით გობეგიშვილმა  
მსოფლიოს ჩემპიონის  
პირველი ტიტული  
1985 წელს მოიპოვეს



ხურუთში —  
დავით გობეგიშვილის  
მშობლიურ სოფელში

საქართველოს ჩემპიონი და, შესაბამისად, მსოფლიოს ჩემპიონი პირველად ოთხმოცდახუთში გავხდი. იმავე წელს, მსოფლიო ჩემპიონატიდან ცოტა ხნის შემდეგ, ერევანში საბჭოთა და ამერიკელი მოჭიდავეების ამხანაგური შეხვედრა გაიმართა. ჩემს მეტოქეს 7:0 ვუგებდი. არ ვიცი, რა დამემართა — შეხვედრა 7:8 წავაგე!

გულწრფელად რომ გითხრათ, ის არაფრისმთქმელი წაგება ძალიან მტკიცნეულად განვიცადე. ალბათ, ახალგაზრდობის ბრალი თუ იყო. მაგრამ აქ საინტერესოა საბჭოთა კავშირის ნაკრების ხელმძღვანელობის მოქმედება — მე, ორიოდე თვის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფით მოგები, სასწრაფოდ გამომიყვანეს ნაკრების შემადგენლობიდან და საპასუხო შეხვედრაზე ამერიკაში უჩემოდ გაემგზავრნენ. 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატშიც უჩემოდ ჩაიარა.

მამაჩემის შეგონებები რომ არა, ჭიდაობისთვის, საერთოდ, თავის დანებებას ვაპირებდი“.

ახალგაზრდა ხაბელოვის გულისტკივილი სავსებით ბუნებრივი და გასაგებია, მაგრამ, მოდი, გავუგოთ მწვრთნელებსაც. უფრო სწორად, ვცადოთ მათი საქციელის ახსნა.

დავინციოთ იმით, რომ სპორტის წებისმიერ სახეობაში საბჭოთა ნაკრების მწვრთნელის წინაშე იდგა ცხადზე ცხადი ამოცანა — გამარჯვება თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად. საქმე ის არის, რომ ყველა დონის საერთაშორისო სპორტული პაექრობა საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ განიხილებოდა საერთაშორისო იმპერიალიზმთან სოციალიზმის უპირატესობის დამტკიცების საშუალებად. მეტიც, წებისმიერი წაფორხილება საერთაშორისო სარბიელზე სამშობლოს და სოციალიზმის ღალატად ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, მწვრთნელებს, ფაქტობრივად, ჩამორთმეული ჰქონდათ ნაგების უფლება. მათ არ შეეძლოთ უმცირეს რისკზე წასვლაც კი. იყო კიდევ ერთი, ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება — უდიდესი კონკურენცია მოჭიდავეთა ნაკრების შიგნით.



მაგალითად, ხაბელოვის წონით კატეგორიაში (100 კილოგრამამდე) შეგვიძლია გავიხსენოთ, თუნდაც, ილია მატე, საბჭოთა კავშირის ოთხზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 1980 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი; ან პიოტრ ნანიევი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი; ან საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ასლანბეკ ბისულთანოვი; ან საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ასლან ხადარცევი... ისინი, ყველა მათგანი, ასაკით ხაბელოვზე უფროსები, უფრო გამოცდილები და, სავარაუდოდ, მწვრთნელების თვალში უფრო საიმედონიც იყვნენ. ნუ დავივინყებთ, რომ იყვნენ კიდევ ხაბელოვზე არანაკლებ ამბიციური ახალგაზრდებიც, რომლებიც, რა თქმა უნდა, ყველაფერს გაიღებდნენ ნაკრებში მოსახვედრად.

საბჭოთა ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი, ამავე დროს, იყო პოლიტიკური ფიგურა და ძალიან ცოტა, ან, სულაც, არაფერი კავშირებდა პედაგოგიკასთან — ასეთი წვრილმანისთვის მას ნამდვილად არ ეცალა. თუ ქართულმა და, შესაბამისად, მსოფლიო სპორტმა შეინარჩუნა ერთი უგამოჩინებულესი სპორტსმენი და პიროვნება, ეს, უპირველეს ყოვლისა, ხაბელოვის მამის, გაბრიელ ხაბელოვის და ხაბელოვის თბილისელი მწვრთნელებისა და დამრიგებლების დამსახურებაა...

დიახ, ასეთი სასტიკი ალმოჩნდა საზღაური ერთი შეხედვით მართლაც არაფრისმთქმელი და არაფრისმომცემი წაფორხილებისთვის, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ეს იყო სავსებით კანონზომიერი მოვლენა მმართველობის საბჭოთა სისტემისთვის — იგი გამონაკლისებს არ გულისხმობდა. არც საბჭოთა მწვრთნელები გამოირჩეოდნენ იუმორის განსაკუთრებული გრძნობით.

ოცდაერთი წლის მსოფლიო ჩემპიონმა ლერი ხაბელოვმა ნაკრებში ადგილი დროებით ასლან ხადარცევს დაუთმო და თვითონ ყველაფერი დაიწყო თავიდან — ისევ საკონტროლო შესვედრები, ისევ საკვალიფიკაციო ტურნირები, ისევ თავდაუზოგავი ვარჯიში, ისევ მომავლის შიშნარევი მო-



მოსნავლე ხაბელოვბა,  
ჭაბუქმა ხაბელოვბა,  
ახალგაზრდა და მერე  
მოზრდობმა ხაბელოვბა  
მოიძიგა ყველა უმაღ-  
ლესი ტიტული, რაც კი  
საქართველოში, საბჭოთა  
კავშირში, ევროპაში და  
მსოფლიოში არსებობდა.  
იგი გახლავი მართლაც  
უნიკალური ქართული სა-  
ჭიდაო სკოლის უმდიდრე-  
სი ტრადიციების ღირსეუ-  
ლი მემკვიდრე, შემნახვი  
და გამგრძელებელი.



ლოდინი... მას კიდევ ერთხელ უნდა დაემტკიცებინა, რომ მართლაც შესწევდა ძალა ქადილისა; რომ ამერიკელ მოჭიდავესთან ის საბედისნერო მარცხი იყო ბრძანებული შემთხვევითობა და მეტი არაფერი.

ლერი ხაბელოვმა ეს შესძლო. კიდევ ერთხელ ბეჭებზე დასცა ყველა მისი მრისხანე მეტოქე და 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც გაემგზავრა.

ამ ჩემპიონატთან დაკავშირებულია ერთი საკმაოდ პიკანტური, მაგრამ ლერი ხაბელოვის პიროვნებისთვის დამახასიათებელი ისტორია, რომელმაც მაშინ მთელ მსოფლიოს ელვის სისწრაფით შემოურბინა: მოგეხსენებათ, ჭიდაობა ძალისმიერი სპორტია და ტრავმებიც, სამწუხაროდ, იშვიათობა არ არის — ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი სარბიელიდან სწორედ ამ მიზეზით მიდის. ხოლო როცა საჭიდაო ხალიჩაზე ერთმანეთს ასკილოგრამიანი დევკაცები ერკინებიან, ტრავმის რისკიც ერთიორად იზრდება.

უკვე შეხვედრის მეთხუთმეტე წამზე ლერი ხაბელოვმა მეტოქე (ახმედ ატავოვი) ჰაერში აიტაცა და საჭიდაო ხალიჩას დაანარცხა. ყოველ ასეთ შემთხვევას, როგორც წესი, მეტოქის შებოჭვის მცდელობა მოსდევს — ასეთია თავისუფალი ჭიდაობის კანონი. ამჯერად ასეთი რამ არ მომხდარა — ხაბელოვი წამოდგა და ხელები ისე გაშალა, თითქოს რაიმე დაეშავებინოს. საქმე ის არის, რომ ხალიჩაზე დაცემისას მეტოქემ მუხლი დაიზიანა და ამას ხაბელოვი მაშინვე მიხვდა. მას ამ შემთხვევის სათავისოდ გამოყენება და აქტივში სუფთა მოგების ჩანერა არც უფიქრია — ატავოვის ფეხზე წამოყენებას და დამშვიდებას ცდილობდა. იმედგაცრუებული მაყურებელი, რომელიც საინტერესო ორთაბრძოლას ელოდა, ტაშს უკრავდა გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც: ერთს დიდბუნებოვნებისთვის, მეორეს — ვაჟკაცობისთვის.

ერთი „პატარა“ ისტორიაც.

1985 წლის ევროპის ჩემპიონატზე, ფინალურ ორთაბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ მსოფლიო ჭიდაობის ამომავალი ვარსკვლავი ლერი ხაბელოვი და უკვე მრავლისმნახველი, გამობრძმედილ-გამოჯეკილი უვე ნოიპერტი — ყველა სპორტული ტიტულის მქონე მოჭიდავე.

ძალიან დაძაბული და მსაჯობის თვალსაზრისით, ურთულესი შეხვედრა საცაა დამთავრდება. ახალგაზრდა ხაბელოვი ქულებით იგებს. ნოპერტი წაგებას არ ურიგდება. მოულოდნელად იგი მეტოქეს ფოლადის მარწუხებში მოქცევას და შებოჭვას ახერხებს. გამარჯვება სულ ახლოსაა — წამიც და წელში გადრეკილ მეტოქეს ნოიპერტი ბეჭებზე დასცემს. დარბაზი სულგანაბულია.

და ხდება საოცრება — ხაბელოვი არაადამიანურ ძალას იკრებს, წელში იმართება და მრისხანე მეტოქეს ხალიჩაზე ანარცხებს. ლერი ხაბელოვი ჩემპიონია!

გულშემატკივარი ერთხანს მოულოდნელობისაგან გაირინდა, მერე კი ახალი ჩემპიონის პატივსაცემად ოვაციებმა უზარმაზარი დარბაზი შეაზანზარა.

ლერი ხაბელოვმა ძლევამოსილი მარჯვენა შემართა, ბედნიერი ღიმილით მიესალმა გულშემატკივრებს და სანამ გასახდელში შევიდოდა, მწვრთნელს ჩაულაპარაკა: — მგონი, ნეკნი გამიტყდა...


მართლაც, ლერი ხაბელოვისთვის მეტოქეს შებოჭვისას ორი ნეკნი ჩაემტვრია.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ერევნის ინციდენტი (მოულოდნელი მარცხი უცნობ ამერიკელ მოჭიდავესთან). მრავალი წლის შემდეგ, დაბრძენებულმა და მრავლისმნახველმა ლერი ხაბელოვმა ჩემთან საუბრისას თქვა, ის ტრაგიკული შემთხვევა ჩემთვის, ალბათ, სასარგებლოც კი გამოდგა — ფაქტების და მოვლენებისთვის სხვა თვალით შემახედა, მიზნისკენ მიმავალი გზის მთელი სირთულეები დამანახაო.

ესეც დიდბუნებოვანი კაცის ნათქვამია.

1987 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ლერი ხაბელოვმა ტრიუმფით მოიგო — ყველა მეტოქე დიდი უპირატესობით დაამარცხა. მის „მსხვერპლთა“ შორის იყო ცნობილი რუმინელი მოჭიდავე ვასილე პუშკაშუც — წმინდა გამარჯვება 12 წამში!

სეულის ოლიმპიადისკენ მიმავალი გზა ხსნილი იყო!



ნაცობი სურათი:  
ლერი ხაბელოვმა პაქრში  
აიტაცა მარცხისთვის  
განწირული მეტოქე

იმ ჩემპიონატზე „გაბრაზებულმა“ ლერი ხაბელოვმა ვასილე პუშკაშუ-ზე ძლიერი ბევრი სხვა ფალავანი დაამარცხა. ხოლო იმ ბევრიდან რაღა მა-ინცდამაინც პუშკაშუ ვახსენე, ამას სულ მალე შეიტყობთ.

საკონტროლო და საკვალიფიკაციო შეხვედრებს რომ თავი დავანე-ბოთ, 1987 წელს ლერი ხაბელოვმა მოიგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, მოიგო ევროპის ჩემპიონატი, მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი, მოიგო თბილი-სის საერთაშორისო ტურნირი... მოიგო ყველა ამ შეჯიბრების ყველა ორ-თაბრძოლა და მოიგო ისე, რომ მეტოქეებისთვის არ დაუთმია არც ერთი, არც ერთი ქულა! მსოფლიოს ოთხი უდიდესი ტურნირი აბსოლუტური შე-დეგით — ვერ გეტყვით, მომხდარა თუ არა ასეთი რამ მანამდე ჭიდაობის ისტორიაში, მაგრამ ეს ნამდვილად შეძლო ჩვენმა სახელოვანმა თანამემა-მულემ, 23 წლის ავჭალელმა ბიჭმა.

იგი უკვე მსოფლიო სპორტის მეგავარსკვლავია. მასზე აღფრთოვანე-ბით წერს საბჭოთა და უცხოური პრესა. არ არსებობს რაიმე ეპითეტი, უურ-ნალისტებს მისთვის რომ არ გაემეტებინოთ. იმ პერიოდის პრესის გადათ-ვალიერებისას მეც თვალში მეცა და, ალბათ, ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანი შეამჩნევს, რომ ყოვლისმცოდნე და ყველგანმყოფი უურნალისტე-ბიც კი (სპეციალისტებს რომ თავი დავანებოთ) მასზე ერთგვარი რიდით და კრძალვით ლაპარაკობენ. დაახლოებით ისე, როგორც ლაპარაკობენ დიდ მეცნიერზე, დიდ მსახიობზე, დიდ მწერალზე, დიდ პოლიტიკურ მოღვაწეზე...

ვიმეორებ, მსოფლიო პრესა კრძალვით და მონინებით ლაპარაკობს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონზე, მაგრამ მაინც 23 წლის ბიჭზე. ოდესალაც ასეთი ტონით ლაპარაკობდნენ პელეზე, დი სტეფანოზე, გივი კარტოზიაზე, ნონა გაფრინდაშვილზე, ვიქტორ სანეევზე და კიდევ რამდენიმე ადამიანზე მსოფლიო სპორტის ისტორიაში. ახსენებენ „მაგიურ ძალას“, „მის თვალებ-ში არეკლილ ინტელექტს“, „კეთილშობილებას“, „სითბოს“, „თავმდაბლო-ბას“, „მიმტევებლობას“, „დიდსულოვნებას“ და, საერთოდ, ისეთ განსაზ-ღვრებებს, რაც ჩვეულებრივ, „ახალგაზრდა მოჭიდავის“ ასოციაციას რომ არ ესადაგებოდა და არც ახლა ესადაგება.



რაც მთავარია, 1988 წლის სეულის ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი წლით ადრე ოდნავი ეჭვიც კი არავის ეპარება, რომ ლერი ხაბელოვი ოლიმპიური ოქროს ყველაზე რეალური კანდიდატია. ამაში თავად სპორტსმენიც ღრმად არის დარწმუნებული.

ლერი ხაბელოვი: „იმედია, ტრაბახში არ ჩამომართოვთ — მეც, ჩემმა მწვრთნელებმაც, სპეციალისტებმაც, გულშემატკივრებმაც და მეტოქეებმაც ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე, სულ მცირე, თორმეტი თვით ადრე ვიცოდით, რომ ჩემპიონობას, წესით, ვერავინ ვერ უნდა შემცილებოდა. არ ვამტკიცებ, რომ ოლიმპიურ ოქროს სხვა არავინ იმსახურებდა, უბრალოდ, ვფიქრობ, იმ მომენტისთვის მე ყველაზე უკეთ ვიყავი მომზადებული. ეს იმ წელს ჩემმა გამოსვლებმაც დაადასტურა.

არ ვიცი, რა დავარქვა ამას: ბედისნერა, ბრძან შემთხვევა, ფატალური გარდუვალობა თუ სხვა რამ. სეულში ოლიმპიური ტურნირის დაწყებამდე ორიოდე საათით ადრე საბჭოთა კავშირის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, არტემიევმა საჭიდაო ხალიჩაზე კიდევ ერთხელ მოთელვა შემომთავაზა. კაცმა რომ თქვას, ამის აუცილებლობა ნამდვილად არ არსებობდა — ასეთ დროს, როგორც წესი, მწვრთნელებს მეტი ყურადღება დასვენებაზე და სპორტსმენისთვის განწყობის შექმნაზე გადააქვთ. მოთელვა დავიწყეთ თუ არა, მოულოდნელად ნამიან საჭიდაო ხალიჩაზე ფეხი გამიცურდა და დავეცი. ტკივილი აუტანელი იყო. სასწრაფოდ შეიკრიბა კონსილიუმი, რომელმაც დამისვა საბედისნერო დიაგნოზი: ბარძაყის კუნთის გაწვეტა! შესაძლოა, კონსილიუმის საბოლოო გადაწყვეტილებაზე ჩემმა დაჟინებულმა თხოვნამაც იმოქმედა — ექიმებმა ხალიჩაზე გასვლის და ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობის უფლება დამრთეს.

ექიმმა-ტრავმატოლოგებმა და ყველამ, ვისაც ოდესშე მსგავს ტრავმასთან საქმე ჰქონია, იციან, რას ნიშნავს კუნთის გაწყვეტა. იციან, რა ტკივილებთან და რა სირთულეებთან არის დაკავშირებული მისი მკურნალობა. საჭიდაო ხალიჩაზე თავი ისე უნდა დამეჭირა, რომ მეტოქეებს ჩემი ტრავმის შესახებ არაფერი შეეტყოთ.



ძველი მეტოქების —  
ლერი ხაბელოვისა და  
პიოტრ ნანიუკის შერკინება

დამეთანხმებით, არ არის მთლად იოლი ამოცანა, მაგრამ მომდევნო თლიმბიადა ხომ ოთხი წლის შემდეგ გაიმართება! ოთხი წელიწადი კი ნებისმიერი სპორტსმენისთვის დიდი, ძალიან დიდი დროა.

მოკლედ, ხალიჩაზე გავედი და პირველი ორთაბრძოლა მოვიგე. შემდეგ — მეორეც, მესამეც, მეოთხეც... ყოველი შეხვედრის შემდეგ ტრავმა უფრო და უფრო მირთულდებოდა, ტკივილები სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. ყოველი შეხვედრის ნინ გამაყუჩებლების მეტი და მეტი დოზა, ეგრეთ წოდებული ბლოკადები! მაგრამ ეს მკურნალობა არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო — ეს იყო იძულებითი და დროებითი ღონისძიება.



ასე გავედი ფინალში, სადაც უკვე მელოდა რუმინელი ვასილე პუშკაშუ.

ამ მართლაც კარგ სპორტსმენს მანამდე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, სხვა საერთაშორისო ტურნირებში, თუ არ ვცდები, რვაჯერ შევხვდი და ყველა მოვუგე საერთო ანგარიშით 65:0. ვასილე ოქროზე არც ოცნებობდა — ფინალში გასვლით მან პროგრამა-მაქსიმუმი შეასრულა და სამშობლოში გმირად დაბრუნება გარანტირებული ჰქონდა. როგორც ვიცი, ფინალში ჭიდაობას არც აპირებდა — თავისი ნარმატება მეგობრებთან ერთად კათხა ლუდით უკვე აღენიშნა კიდეც.

ჩემი ტრაგმის დამალვა უკვე შეუძლებელი ხდებოდა. პუშკაშუმ და სხვებმა საქმის ნამდვილი არსი, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, მაგრამ ის კი ყველამ საკუთარი თვალით ნახა, ნახევარფინალში გამარჯვების შემდეგ, ტკივილებისგან გაოგნებული და ლამის გონდაკარგული, როგორ გამიყვანეს სეკუნდანტებმა ხალიჩიდან. ეტყობა, ამან გაუჩინა რუმინელთა ბანაკს მცირე იმედი და პუშკაშუსაც ფინალში ხალიჩაზე გამოსვლა გადააწყვეტინა.

ტრაგიკული როგორ დავარქვა, მაგრამ სეულის ოლიმპიადის ფინალი რომ ჩემს სპორტულ კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო მოსაგონარია, ამას წყალი არ გაუვა. კაცმა რომ თქვას, იმ შევედრას ძნელად თუ შეიძლება დაერქვას ჭიდაობა: ენით აუწერელი ტკივილების გამო მე ფეხზე ძლივს ვიდექი და მოძრაობა არ შემეძლ; რუმინელი კი, თავის მხრივ, შიშით ახლოს ვერ მეკარებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი ქულის აღება მოახერხა.

ასე ვერ გავხდი სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი.

სეულის ოლიმპიადის ვერცხლის მედალი ჩემთვის, ჩემი ოჯახისთვის, მწვრთნელებისა და გულშემატკივრებისთვის უდიდესი იმედგაცრუება იყო — მე ხომ წაგების უფლება არ მქონდა...“

პროზაული, მაგრამ გულსატკენი ისტორიაა. თანაც, თითქოს ყოვლად ალოგიკური — მწვრთნელ არტემიევს მეტისმეტი სიფრთხილე, მონდომება და გულმოდგინება რომ არ გამოეჩინა, ხალიჩა რომ ნამიანი არ ყოფილიყო,

ფეხი რომ არ დაცდენოდა... ბოლოს და ბოლოს, რა აუცილებელი იყო, 23 წლის ახალგაზრდას, ქვემძიმე წონის მოჭიდავეს, მსოფლიოს ორგზის ჩემ-პიონს, დედამიწაზე ერთ-ერთ ყველაზე მტკიცე კუნთებიან ადამიანს უბრა-ლო ფეხის გაცურებაზე ბარძაყის კუნთი გაგლეჯოდა!

მაგრამ მთავარი სხვა რამეა — ლერი ხაბელოვი ამბობს, რომ მას წაგე-ბის უფლება არ ჰქონდა და მისი ნათქვამის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

სწორედ ამას ჰქვია დიდბუნოვნება, რაც მას ასე გამოარჩევდა დიდ სპორტსმენთა შორისაც კი; სწორედ ამას ჰქვია პასუხისმგებლობა საკუთა-რი ნამოქმედარის გამო, რაც ასე აკლია არა მარტო სპორტსმენებს, არამედ იმათ, ვისაც, საკუთარი ხალხის და ქვეყნის წინაშე გაცნობიერებული პა-სუხისმგებლობა აკისრია. ეს ის ფენომენია, სპორტსმენის წინაშე კრძალ-ვას და მოწინებას რომ გაგრძნობინებს. სწორედ ამიტომ არის ალალი ხაბე-ლოვზე ეპითეტი „დიდი“.

\* \* \*


თბილისში, ავჭალაში ცხოვრობდა ერთი უბრალო, ტკბილი ოჯახი. ეს წინადადება 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე რომ დამენერა, „უბრალო-სა“ და „ტკბილის“ შემდეგ აუცილებლად დაგრძნდი სიტყვას „ქართული“, რადგან მაშინ ჩემს ცნობიერებაში (ჩვენს ცნობიერებაში!) ჯერ კიდევ ბასრი მახვილივით არ შემოჭრილიყო შხამიანი აზრი, რომ ოსი არ არის ქართველი. ბოდიშს ვიხდი მყითხველის, ლერი ხაბელოვის და მისი დიდი ოჯახის წინა-შე ამას რომ ვამბობ, მაგრამ დღესაც, XXI საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულს, საქართველოს ბევრ მოქალაქეს ქართველობა მხოლოდ ეთნი-კური წარმომავლობა ჰქონია, ხოლო საქართველო — ეთნიკური ქართვე-ლების განუყოფელი საკუთრება. ალბათ ამიტომაცაა, ხშირად ასე იოლად რომ ველევით იმ ადამიანებს, ვინც ჩვენს ცნობიერებაში „ქართველად“ ვერ წარმოგვიდგენია.



ვწუხვარ, მაგრამ ამ გულისტკივილს რუსულ პრესაში გავრცელებული ის წინადადება მათქმევინებს: ლერი ხაბელოვი სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობსო...

გაბრიელ და გიული ხაბელოვების ოჯახი ცხოვრობდა ისე, როგორც უმრავლესობა თბილისის ამ გარეუბანში — არც მდიდრულად, არც ლუკ-მაპურის მონატრულად. გაბრიელი უბანში დაფასებული კაცი იყო, ქარხანა „ცენტროლიტის“ საამქროს უფროსი, უმაღლესი კვალიფიკირებული ელექ-

საქართველოს  
სპორტსაზოგადოება  
„შრომითი რეზერვების“  
თავისუფალ სტილის  
მოჭიდავეთა ნაკრები.  
1980-იანი წლები



ლერი ხაბელოვმა  
6-ჯერ გაიმარჯვა  
თბილისის ტრადიციულ  
საერთაშორისო  
ტურნირზე



ტრიკოსი. დედა დიასახლისობდა. ბავშვები — ლერი, რეზო და ინგა საშუალო სკოლაში და მაშინდელ მოდურ „წრეებზე“ დადიოდნენ, სწავლობდნენ და ცელქობდნენ.


ისევე, როგორც მშობლებმა და უმცროსმა და-ძმამ, ლერიმაც იცოდა, რომ ეს მოგუგუნე დიდი ქალაქი, ბაღჩა-ბაღებით მოჩითული ავჭალა, ეს სკოლა, მასწავლებლები და თანაკლასელები, ეს მტკვრის სანაპირო, ჩახჩახა მზე და ნახერხმოყრილი საჭიდაო მოედანი... ეს ყველაფერი მისია, მისი სამშობლოა — საქართველო.

ისიც იცოდა, რომ ოდესაც, სამნახევარი საუკუნის წინათ მისი შორეული წინაპარი საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულა და მას შემდეგ ერთგულად ემსახურებოდა ქართულ სახელმწიფოს: ხნავდა, თესდა, ვაზს უვლიდა, ღვინოს აყენებდა, ქართულ სიმღერას მღეროდა, მომხვდურს ხმალამოღებული მიუხტებოდა და მერე ასე, „ამოღებული ხმალითა“ პირნათლად წარსდგებოდა უზენაესისა და მამა-პაპათა წინაშე.

ისიც იცოდა, რომ სადღაც, ჩრდილოეთ კავკასიის მთებში, მდინარე ფიიაგდონის ხეობაში, კვლავ მტკიცედ იდგა ხაბალათ გვარის საბრძოლო კოშკი, როგორც სიმბოლო თავისუფლებისა, გაუტეხლობისა, გმირული წარსულისა და სამშობლოსადმი უანგარო მსახურებისა.

თუმცა, ახლა თორმეტიოდე წლის ბიჭუნა სამშობლოს სამსახურზე, წარსულზე და მომავალზე არ ფიქრობს. სხვა ბიჭუნებივით დადის სკოლაში, სწავლობს ჩასაბერ ინსტრუმენტებზე დაკვრას, თამაშობს, ცელქობს კიდეც და ერთი სული აქვს, როდის გახდება „დიდი“, რომ სხვებივით „შატალოზე“ ისიც წავიდეს.

შატარა ლერიმ ჯერ არ იცის, რომ განგებამ მას სხვა ხვედრი არგუნა; რომ მისი ბავშვობა უჩვეულოდ მალე დამთავრდება — თამაშისა და ყმანვილური თავქარიანობისთვის არც დრო დარჩება და არც სურვილი ექნება, რადგან სულ მალე, რაღაც ორ-სამ წელიწადში ჯერ მთელი სკოლა, მერე — მთელი უბანი, მერე — მთელი საქართველო და ბოლოს — მთელი მსოფლიო



ლერი ხაბელოვი გაზეთ  
„ლელოს“ რედაქციაში.  
1985 წელი



გულისფანცქალით დაელოდება დიქტორის ურუანტელის მომგვრელ შეძანილს — „ყურადღება, ხალიჩაზეა ლერი ხაბელოვი!“

არ იცის, რომ მალე მისი სახელი მაგიურად იმოქმედებს ასი ათასობით, მილიონობით ადამიანის გულსა და გონებაზე დედამიწის ყველა კუთხეში; რომ უცნობი ავჭალელი ბიჭი ერთ მშვენიერ დღეს დიდი სპორტსმენის ეტალონად გადაიქცევა.

ყველაფერი ეს იქნება ხვალ. დღეს კი მაღალ და ჯანიან მეხუთეკალასელ „მუსიკოსს“ თანასკოლელი ძმაკაცები მაცდურ წინადადებას სთავაზობენ: მოდი, საჭიდაო დარბაზში წავიდეთ.

კაცმა რომ თქვას, ბიჭს ჭიდაობაზე და ჩემპიონობაზე არასოდეს უოცნებია, კარგი აღნაგობისა და ფიზიკური მონაცემების მიუხედავად, საკუთარი სპორტული შესაძლებლობების შემოწმება თანატოლებშიც არასოდეს უცდია.

ლერი დათანხმდა. ისე, მაყურებლად და გულშემატკივრად წასვლას დათანხმდა.

ეს ამბავი, შეგახსენებთ, 1974 წელს ხდება, როცა ლერი ხაბელოვი 12 წლისაა. ამ დროს თბილისში სხვადასხვა პროფილის სპორტული სკოლები მსურველების მიღებას ვერ აუდიან; უკლებლივ ყველა დიდ და პატარა სკოლაში მოქმედებს სპორტული დარბაზები და მოედნები; უკლებლივ ყველა საშუალო-ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებელში — კარგად აღჭურვილ-დაკომპლექტებული სპორტული კათედრები. სრული დატვირთვით და უაღრესად ნაყოფიერად მუშაობს ქართველ მწვრთნელთა ნამდვილი სამჭედლო — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკულტურის ინსტიტუტი. რამდენიმე სპორტული საზოგადოება („დინამო“, სკა, „ბურევესტნიკი“, „განთიადი“, „შრომითი რეზერვები“...) პერსპექტიული სპორტსმენების გადაბირებაში ერთმანეთს ეჯიბრება. სისტემატურად ტარდება სპარტაკიადები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის; სასკოლო, რაიონული, რეგიონული, რესპუბლიკური, საკავშირო დიდი და მცირე მასშტაბის შეჯიბრებები...

მოკლედ, იმის თქმა მინდა (თუ უკვე კომუნიზმის აპოლოგეტობა არ დამბრალდა!), რომ იმ ეპოქაში, ბევრი სიმახინჯის მიუხედავად, ნიჭიერი და მონდომებული სპორტსმენისთვის თავის გამოჩენის საშუალება ნამდვილად არსებობდა.

სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ დარბაზი აქვეა, ორ ნაბიჯზე. აქვეა სახელგანთქმული ძველი ავჭალელი მოჭიდავეების სულები და უეჭველად სადღაც აქვეა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონის, დიდებული მეგობრის და მოქალაქის, ახლაც ავჭალაში მცხოვრები ზარიბეგ ბერიაშვილის აჩრდილიც.

„არასპორტულად“ ჩაცმული ლერი მეგობრებს დარბაზში შეჰყვა და კუთხეში მორცხვად გაჩერდა.


მწვრთნელმა მაისურაძემ ბიჭებს მოთელვისთვის „წრეზე დადგომა“ უბრძანა. „ახალი ბიჭისთვის“ რაიმე განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია (ზედმეტი ყურადღება და გამოკითხვები, განსაკუთრებით, ბავშვებზე ზოგჯერ დამთრგუნველად მოქმედებს და განზრახვას გადააფიქრებინებს ხოლმე. ეს ყველა მწვრთნელმა იცის. განსაკუთრებით იმათ, ვისაც საქმე მოზარდებთან აქვს). არც აზრი უკითხავს და არც ნებართვა — ერთი კი შეათვალიერა და უსიტყვოდ „თავის გუნდში“ ჩარიცხა. თუმცა, მომავალში ბევრჯერ განაცხადა, რომ მანაც და მისმა კოლეგებმაც ამ მაღალ, ძარღვიან ბიჭში მაშინვე შენიშნეს მოჭიდავისთვის აუცილებელი მონაცემები. განსაკუთრებით, მისი ფიქრიანი გამომეტყველება მოეწონათ.

შემდეგ ვარჯიშზე უკვე საკუთარი ინიციატივით მივიდა. სპორტულ ფორმას ჩანთაში მალავდა — მშობლებს უმალავდა. თუმცა, მალე გაირკვა, რომ მათ შვილის ახალი გატაცების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონიათ.


რომ ვთქვა, პირველი მწვრთნელები, მაისურაძე და გაჩერილაძე ახალ აღსაზრდელს განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდნენ-მეთქი, აღბათ, გადავაჭარბებ — ისინი ყველა ბიჭს განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდნენ. საქმე ის არის, რომ ბავშვთა მწვრთნელის იდეა არ არის მაინცდა-




გიორგი სალარაძე,  
ლერი ხაბელოვი  
და გურამ სალარაძე



განონ ნიკოლაძე და  
ლერი ხაბელოვი



გია გალაგავა,  
გასილ ცუნიშვილი  
და ლერი ხაბელოვი



ლერი ხაბელოვის უჩვეულო შრომისმოყვარეობას განსაკუთრებით ხაზს უსკამს ყველა, ვისაც კი მათან ოდესმე თუნდაც ხანმოქლე ურთიერთობა პქონია: მასწავლებლები, მეცნიერებელები, თანამშრომლები...



ლერი ხაბელოვისთვის  
სპორტული ნიჭი ღმერ-  
თბი უხვად გაიძეტა.  
ვისაც მისი ჭიდაობა  
ერთხელ მაინც უნახავს,  
მეორედ, მესამედ, მეასედ  
ნახვის სურვილი აუცი-  
ლებლად გაუჩნდებოდა.



მაინც მსოფლიოს ჩემპიონის გამოზრდა. მისი იდეა და უმთავრესი მიზანი მოზარდისთვის სპორტის შეყვარება, სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი თაობის გამოზრდაა. საერთოდ, ადრეულ ასაკში ბავშვის ფიზიკური მონაცემებით მისი სპორტული კარიერის განჭვრეტა თითქმის შეუძლებელი და, კაცმა რომ თქვას, უმაღური საქმეა — როგორც ამბობენ, საშუალო დონის სპორტული მონაცემები ყველა ბავშვს გააჩნია. ყველაფერი აღსაზრდელის ბუნებაზე, მონდომებაზე და მწვრთნელ-პედაგოგების ნიჭი, უნარზე და საქმის სიყვარულზეა დამოკიდებული. როგორც ჩანს, ლერი ხაბელოვს ღმერთმა ნიჭი და ძალ-ღონეც უხვად უბოძა და მწვრთნელებადაც უნარიანი, მცოდნე და გულასხმიერი ადამიანები მიუვლინა.

ეს მაღალი, გამხდარი ბიჭი ერთი შეხედვით თანატოლებისგან თითქოს არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ მოჭარბებულად ჰქონდა ისეთი რამ, რაც ნიჭთან და ფიზიკურ მონაცემებთან ერთად ადამიანს იშვიათად ეძლევა — შრომისმოყვარეობა.

ჭიდაობის დარბაზში გამოჩენიდან ერთი წლის თავზე 13 წლის ლერი ხაბელოვმა თავის პირველ ოფიციალურ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ეს იყო თბილისის მოსწავლეთა საქალაქო პირველობა. ამ შეჯიბრებაზე ახალბედამ ერთადერთი შეხვედრა დათმო და მესამე ადგილს დასჯერდა. თუმცა, სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი მასზე ორი-სამი წლით უფროსი ბიჭების ტურნირში მონაწილეობდა.

მოსწავლეთა ამ ტურნირზე ყველაფერი ისე იყო, როგორც დიდების ჩემპიონატზე — მაყურებლებით სავსე დარბაზი, ნამდვილი საჭიდაო ხალიჩები, მკაცრი და შეუვალი რეფერი, სერიოზულზე სერიოზული მსაჯთა კოლეგია და სააპელაციო კომისია, ქულები და პრიზები, ნამდვილი ვწება-თალელვა და შიგადაშიგ — ალალი ცრემლიც.

რა თქმა უნდა, შეჯიბრებას მონაწილეთა მშობლები, პედაგოგები და სკოლელებიც ესწრებოდნენ. მეექვეყლასელი დებიუტანტი, ის ერთადერთი შეხვედრა ბევრად „გამოცდილ“ მეტოქესთან რომ წააგო (იგი, ალბათ,



დავით გობეგვიშვილი,  
ვლადიმერ  
მესტვირიშვილი,  
ავთანდიშვილი  
და ლერი ხაბელოვა

ახლაც სავსებით სამართლიანად ამაყობს, რომ ოდესაც საჭიდაო ხალი-ჩაზე თვით ლერი ხაბელოვი დაამარცხა!), განბილებული და დაღონებული იყო — მან ხომ ჩემპიონობა ვერ მოიპოვა! სამაგიეროდ, კმაყოფილი ჩანდნენ მწვრთნელები — ვანო ნიკოლაძე და ლადო მესტვირიშვილი, შემდგომში ლერი ხაბელოვის დაოსტატებასა და წარმატებებში უდიდესი წვლილი რომ შეიტანეს. პირველად სწორედ ვანო ნიკოლაძემ იწინასწარმეტყველა, რომ „ამ ბიჭისგან აუცილებლად დადგებოდა მსოფლიოს ჩემპიონი“.

მოდი, მივაგოთ კეისარს კეისრისა: როცა ევროპის ჩემპიონ ლერი ხაბელოვზე, მსოფლიო ჩემპიონ ლერი ხაბელოვზე, ოლიმპიურ ჩემპიონ ლერი ხაბელოვზე ლაპარაკობენ, აქცენტი მის მართლაც სახელოვან მოსკო-



ვეღ მწვრთნელებზე გადააქვთ. მათი დამსახურების დაკნინებას სულაც არ ვაპირებ, მაგრამ მაინც, მათ ხელში უკვე ჩამოყალიბებული სპორტსმენი ხვდებოდა. აი, ის ადამიანები კი, რომლებმაც თითქოს არაფრით გამორჩეულ ბიჭებში განსაკუთრებული ნიჭი და უნარი აღმოაჩინეს, რომლებმაც ეს ბიჭები მტკვრის ნაპირიდან საბჭოთა ნაკრების სპორტული ბაზის კარამდე მიიყვანეს, როგორც წესი, ჩრდილში რჩებიან. მეტიც, თუ მოწაფისგან ის ვერ გამოვიდა, რასაც ვარაუდობდნენ, ბრალი მწვრთნელებს ედება; ხოლო თუ მოწაფემ ციდან ყველა ვარსკვლავი მოწყვიტა, მაშინ მწვრთნელი ერთეულებს თუ გაახსენდებათ.

თუ 1970-1980-იანი წლების ქართული ჭიდაობის ისტორიას თვალს გადავავლებთ, უთუოდ დავინახავთ, რომ ლევან თედიაშვილის ეპოქის დამთავრებიდან ლერი ხაბელოვის ეპოქის დადგომამდე საქართველოში რაღაც „საჭიდაო შტილის“ მსგავსი ვითარებაა. იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ ამ პერიოდში საქართველოში სახელოვანი ფალავნები საერთოდ აღარ არიან, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ლერი ხაბელოვამდე (1981 წელს) ქართველთაგან ბოლო მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის იყო... ლევან თედიაშვილი (1968 წელს). დამეთანხმებით, საერთაშორისო სარბიელზე შენი ოდინდელი დამსახურების კი არა, შენი არსებობის დასავიწყებლადაც კი ცამეტი წელიწადი საკმარისი დროა.

და, აი, 80-იანი წლების დასაწყისიდან ას კილოგრამამდე და მძიმე წონით კატეგორიებში მსოფლიო საჭიდაო არენაზე თითქმის ერთდროულად ორი ქართული ვარსკვლავი აკაშკაშდა — დავით გობეჯიშვილი და ლერი ხაბელოვი.

ზემოთაც ვთქვი, და ამის შემოწმება წებისმიერ სპორტულ ცნობარში შეიძლება, რომ მოსწავლე ხაბელოვმა, ჭაბუკმა ხაბელოვმა, ახალგაზრდა და მერე მოზრდილმა ხაბელოვმა მოიპოვა ყველა უმაღლესი ტიტული, რაც კი საქართველოში, საბჭოთა კავშირში, ევროპაში და მსოფლიოში არსებობდა. იგი გახლავთ მართლაც უზიკალური ქართული საჭიდაო სკოლის უმდიდრესი ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე, შემნახავი და გამგრძე-

ლებელი. ღმერთმა დაიფაროს და, ეს ტრადიციები რომ არ არსებულიყო, არც თანამედროვე სახელოვანი ქართველი ფალავნები გვეყოლებოდნენ. ამიტომ ვამბობ, რომ ხაბელოვის და სხვა გამოჩენილ სპორტსმენთა დამსახურება ქართული საჭიდაო სკოლის, მთლიანად ქართული სპორტის წინაშე ფასდაუდებელია.

ლერი ხაბელოვისთვის სპორტული ნიჭი ღმერთმა უხვად გაიმეტა. ვისაც მისი ჭიდაობა ერთხელ მაინც უნახავს, მეორედ, მესამედ, მეასედ ნახვის სურვილი აუცილებლად გაუზინდებოდა. იგი საჭიდაო ხალიჩაზე ისეთი იყო, როგორიც მიშა მესხი — საფეხბურთო მოედანზე, ომარ ფხავაძე — ველოტრეკზე, ბობი ფიშერი — საჭადრაკო დაფასთან ან, სულაც, ჰენრი კისინჯერი — პოლიტიკურ არენაზე. იგი ერთდროულად იყო მამაციც და ფრთხილიც, წინდახედულიც და რისკიანიც, დინჯიც და სულსწრაფიც, მიმტევებელიც და დაუნდობელიც. საჭიდაო ხალიჩაზე მას შეეძლო ყველაფერი, რასაც ადამიანის მდიდარი ფანტაზია წარმოიდგენს და ისიც, რასაც ვერ წარმოიდგენს. დიახ, ეს ის ნიჭია, რაც მას ღმერთმა უბოძა, მაგრამ ფენომენალურ ფიზიკურ მონაცემებთან ერთადაც, ყველაფერი ეს მსოფლიო დონის ვარსკვლავობისთვის საკმარისი მაინც არ არის. საჭიროა კიდევ უდიდესი შრომისმოყვარეობა და ამ მხრივაც განვითარებამ მისთვის ყველაფერი გაიმეტა. ლერი ხაბელოვის უჩვეულო შრომისმოყვარეობას განსაკუთრებით ხაზს უსგამს ყველა, ვისაც კი მასთან ოდესმე თუნდაც ხანმოკლე ურთიერთობა ჰქონია: მასნავლებლები, მეგობრები, მწვრთნელები, მოწაფეები, თანამშრომლები...

შრომისმოყვარეობა რომ არა, ლერი ხაბელოვი, ბევრ სხვასავით, უთუოდ დარჩებოდა „მარადმწვანე“ იმედისმომცემ ტალანტად, რომელსაც აყვავება და ფესვმაგარ ხედ ქცევა არ უწერია. ამიტომაც არის იგი სამაგალითო დიდ სპორტსმენობაზე, გნებავთ, დიდ მეცნიერობაზე, ან მოდურ პოლიტიკოსობაზე მეოცნებე ახალგაზრდობისთვის; იმიტომ არის სამაგალითო, რომ უზარმაზარი შრომის წყალობით საკუთარ ნიჭს გამჟღავნების საშუალება მისცა.



იქნებ არ დაიჯეროთ, რომ 14-15 წლის ავჭალელი ბიჭი, ვისაც უკვე ბრწყინვალე მომავალს უნინასწარმეტყველებდნენ, სკოლის და უბნის კუ- მირი იყო და ყველა ბავშვივით თამაშს და გართობას არაფერი ერჩივნა — დამქანცველი ვარჯიშის შემდეგ ყოველდღე 15 კილომეტრს დარბოდა!

ბუნებრივია, მშობლიური 118-ე საშუალო სკოლა და მისი დირექტორი ფრიდა კობიაშვილი, ყველა მასზავლებელი, ოჯახი, მწვრთნელები და გულშე- მატკივრებიც გვერდში ედგნენ, მაგრამ მთავარი მაინც მისი მონძომება იყო.

ლერი ხაბელოვი: „ვიცი, ყველა ასე ამბობს, მაგრამ სხვანაირად თქმა ძნელია: 118-ე სკოლაში გატარებული წლები უბედნიერესი ხანაა ჩემს ცხოვრებაში. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ, საერთოდ, სიყმანწყილის წლე- ბია უბედნიერესი ხანა. იქნებ მეჩვენება, ჩემი გაფრენილი ბავშვობა მენატ-

ქართული  
საჭიდაო სკოლის  
ნარჩომადევნულები და  
მათი მწვრთნელები.  
ბლავოვეშენსკი,  
1988 წელი

რეპა და ცოტას ვაჭარბებ. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მაინც მგონია, რომ მაშინ, ჩემი მოწაფეობისას, სკოლასა და მონაფეებს შორის დამოკიდებულება დღევანდელისგან ბევრად განსხვავებული იყო. სკოლა, მასნავლებელი, მოსწავლე, მშობელი — ეს იყო ერთი მიზნით გაერთიანებული დიდი ოჯახი, სადაც ყველამ კარგად იცოდა საკუთარი ფუნქცია და მას კარგადაც ართმევდა თავს.


ჩვენმა დირექტორმა, ქალბატონმა ფრიდა კობიაშვილმა მთელი თავისი პედაგოგიური კორპუსის, სკოლის ყველა მოსწავლის და მათი ოჯახების ავან-ჩავნი ზედმინებინით იცოდა. იცოდა ჩვენი სუსტი და ძლიერი მხარეები, ჩვენი მიდრეკილებები და ოცნებებიც კი.


სპორტსმენი რომ გავხდი, ხშირად მინევდა შეკრებებზე, ვარჯიშებზე და შეჯიბრებებზე სიარული. ზოგჯერ გაკვეთილებიც უნდა გამეცდინა. ქალბატონი ფრიდა პირადად აკონტროლებდა ჩემს (სხვა ჩემისთანებისაც!) გრაფიკს, გვინიშნავდა დამატებით მეცადინეობებს, ესწრებოდა ჩვენს გამოსვლებს, მშობელ დედასავით განიცდიდა ყველა ჩვენს წარმატებას თუ წარუმატებლობას.

ყველას გახსენების საშუალება, ალბათ, არ მექნება, მაგრამ ძალიან გთხოვთ, ზინა დადიანზე, ქართული ენის მასწავლებელზე ორიოდე სიტყვა მათქმევინოთ. ამ უაღრესად განათლებულმა და რაღაც ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა მოახერხა ჩვენთვის, ჯერ კიდევ უმწიფარი გოგო-ბიჭებისთვის დაენახვებინა ქართული ენის, ქართული ლიტერატურის მთელი დიდებულება; აეხსნა ენის მნიშვნელობა ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბებისთვის. იგი იყო და არის ჩემი, მისი ყველა ნამოწაფარის მე-გობარი და მარადიული თანამგზავრი“.

\* \* \*

დღეს მსოფლიო იცნობს ლერი ხაბელოვს, როგორც დიდ სპორტსმენს, როგორც დიდ ადამიანს მსოფლიო სპორტის ისტორიაში. ახლა ის ვიკით-






ხოთ, იქნებოდა თუ არა იგი დიდი ადამიანი, ავჭალას და მტკვრის მარცხენა სანაპიროს რომ არ გასცდენოდა?

ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა ხაბელოვის მოღვაწეობას მისი აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ. ამ შემთხვევაში, მგონი, არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა მოღვაწეობის სფეროს (როგორც ერთი აღმოსავლური ანდაზა გვასწავლის, დიდი კაცი ორმოშიაც დიდია და პატარა მთაზედაც პატარა) — იქნებ ეს ყოფილიყო ისევ სპორტი, ან ბიზნესი, ან მეცნიერება, ან პოლიტიკა, ან სამხედრო საქმე...

გულწრფელად რომ ვთქვა, ვერ დავიტრაბახებ, ლერი ხაბელოვის განუყრელი მეგობარი ვარ-მეთქი. მეგობრობა კი არა, ჩვენს ურთიერთობას კაცი კეთილმოსურნეობას თუ დაარქმევს. ლერისთვის თავის დროზე ისიც კი არ მითქვამს, რომ მასზე, როგორც ოლიმპიურ ჩემპიონზე, რაღაც ბუნ-



ლერი ხაბელოვი და  
შოთა კიკაბიძე

დოვანი ჟანრის „თხრობითი ნაწარმოების“ დაწერას ვაპირებდი. აი, ისეთის, რასაც რედაქტორებში „მასალას“ ეძახიან. ხოლო თუ „ლერიდ“ და ზოგჯერ „ხაბელოვად“ მოვიხსენიებ, ეს გამოგონილი ფამილარობით და მასთან ჩემი არარსებული მეგობრობით საკეპლუცოდ არ მომდის — უბრალოდ, მასზე მთელი თოთხმეტი წლით უფროსი ვარ და ამ უპირატესობით ვსარგებლობ. თქვენთან, ამ პატარა წიგნის მკითხველებთან ვსარგებლობ, თორემ მასთან ურთიერთობისას, მიმართვის „თქვენობით“ და „ბატონობით“ ფორმებს ვამჯობინებ. სხვანაირად ენა არ მიბრუნდება.

იმ პერიოდში (1989-1993 წ.წ.), როცა საქართველოში ჩვენი ისტორიის-თვის მანამდე გაუგონარი ანტიოსური ქსენოფობიური ისტერია მძვინვა-რებდა, როცა ტვიზგახურებული „პატრიოტები“ ყველა კუთხე-კუნჭულში „სტუმარი ერების“ და „არაქართველების“ გამოგონილ პრობლემებზე ლაყ-

ბობით ლაპარაკობდნენ, ლერი ხაბელოვი დიდების მწვერვალზე იდგა და საქართველოს, მისი სამშობლო საქართველოს სახელს მთელი მსოფლიოს გასაგონად აქუშებდა.


...1992 წლის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე ლერი ხაბელოვი თითქმის უპრობლემოდ გაემგზავრა. იგი წინა, სეულის ოლიმპიადის ანალოგიურად, ახლაც უპირობო ფავორიტად ითვლებოდა — სპეციალისტებისთვისაც, მეტოქეებისთვისაც და დილეტანტი გულშემატკივრებისთვისაც. ამჯერად კურიოზები აღარ მომხდარა.

ბარსელონის ოლიმპიადაზე ქვემიმდე წონის თვრამეტმა უძლიერესმა ფალავანმა იჭიდავა. ფინალამდე ხაბელოვმა ხუთ მეტოქეს მოუგო — თურქ ალი ქაიალის (2:0), სამხრეთაფრიკელ იოპანეს ჰერმანუს როსუკა (8:1), ბულგარელ მიროსლავ მაკავეევს (3:0), უნგრელ შანდორ კიშს (6:0) და პოლონელ ანჯეი რადომსკის (5:0). დადგა გადამწყვეტი შერკინების დრო.


„5 აგვისტო. კატალონიის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დარბაზი. დარბაზი კი არა, სასახლეა, 4 ათას მაყურებელს იტევს. დღეს აქ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირზე სამი ჩემპიონი გამოვლინდება — 52, 68 და 100 კგ წონით კატეგორიებში. ლერი ხაბელოვი (100 კგ) ფინალშია. ვიდრე აქამდე მოვიდოდა, ხუთი მძიმე ბრძოლა გადახდა, ხუთივე ქულებით მოიგო. ოლიმპიადამ შეღავათები არ იცის. ხაბელოვმა ეს ოთხი წლის წინ საკუთარ თავზე გამოსცადა, როცა სეულში ზედ ფინიშზე წაიბორძიკა და ვერცხლის მედლის „ამარა“ დარჩა. და აი, ისევ ოლიმპიადა, ისევ ფინალი. ამჯერად, ალბათ, ყველაფერი რიგზე იქნება. ყოველ შემთხვევაში, ხაბელოვის მწვრთნელს ვანო ნიკოლაძეს ამაში ეჭვი არ ეპარება: „მოუგებს, უთუოდ მოუგებს. ლერი ის მოჭიდავე არ არის, შანსი მეორედ გაუშვას.“ ვანო ნიკოლაძე ქართველ ტურისტებთან ერთად ჩამოვიდა ბარსელონაში. აქვეა გურამ საღარაძე, დავით გობეჯიშვილის მწვრთნელი. ცხადია, გუნებაზე ვერ არის — გუშინ გობეჯიშვილი ამერიკელ ბაუმბჟარტნერთან დამარცხდა და არა მარტო გურამს, მთელ ჩვენ დელეგაციას დასწყვიტა გული. დამარცხდა ბოლო წამებზე, როცა ამას არავინ ელოდა,



ლერი ხაბელოვი  
ჭიდაობდა ენერგიულად,  
მიზანს მირაცხულად,  
რაციონალურად. ის იყო  
ნამდვილი ჩემპიონი —  
მუდამ გამარჯვებისთვის  
შემართული



ლომის ხაბულოვი  
1987 წელს მეორედ  
მოიპოვა სსრ კაგშირის  
ჩემპიონის ტიტული



ალბათ, თავად ბაუმპარტნერიც, რომელიც სიხარულით მეცხრე ცას ეწვია და იქიდან „დიდხანს არ ჩამოსულა.“ ამ შეხვედრაზე, ფაქტობრივად, ჩემპიონის ბედი გადაწყდა... ქვემძიმე წონაში კი ჩემპიონის ვინაობა ხუთში გაირკვევა. ლერი ხაბელოვსა და ჰეიკო ბალცს უკვე ხალიჩაზე უხმეს. ბალცი გერმანელია — მაღალი, ბეჭებგანიერი, მოძრავი. გამოცდილებითა და ტიტულებით ხაბელოვთან აბა, რას მოვა, თუმცა ეს ამბავი, გამორიცხული არ არის, ბალცისთვის ხელსაყრელიც კი გამოდგეს. ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონს დაამარცხებს — ეროვნული გმირის სახელი განაღდებული


აქვს, წააგებს — საყვედური ძნელად თუ ვინმეს დასცდეს. რაც შეეხება ხაბელოვს, მისთვის წაგება კატასტროფაა — არც მეტი, არც ნაკლები... სიფრთხილეს თავი არ სტკივა. არავითარი რისკი, არც ერთი მოუზომავი ნაბიჯი. ინურება უსაშველოდ გაჭიანურებული ხუთი წუთი. ანგარიშია 2:1 ხაბელოვის სასარგებლოდ. მსაჯი დაღლილ-დაქანცულ სპორტსმენებს ხა-ლიჩის ცენტრში უხმობს. ხაბელოვი სიხარულს ვერ მალავს. ოლიმპიური მწვერვალი დაპყრობილია!

ტრადიციული პრესკონფერენცია. რატომ გაგიჭირდათ ფინალში? — ეკითხებიან ჩემპიონს. „სულში საპედისწეროდ შევცდი და ჩემპიონობა დავკარგე, — პასუხობს ლერი, — დღეს შეცდომის უფლება არ მქონდა და ამიტომ ვფრთხილობდი. ამჯერად ჩემთვის მთავარი იყო გამარჯვება.“ კი-დევ ერთი კითხვა: არსენ ფაძაევი რუსეთის ლირსებას იცავს, თქვენ საქარ-თველოს დელეგაციის შემადგენლობაში გამოდიხართ. რატომ? პასუხი: „ფაძაევი ვლადიკავკაზელია, მე კი, მართალია ეროვნებით ოსი ვარ, მაგ-რამ თბილისში დავიბადე და ამიტომაც წარმოვადგენ საქართველოს. ასე იქნება მომავალშიც... ახლა ჩვენთან პოლიტიკური სიტუაცია დაძაბულია, ქართველებსა და ოსებს შორის შუღლი ჩამოვარდა, მაგრამ იმედია, კონ-ფლიქტი მალე ჩაცხრება. ბედნიერი ვიქნები, თუ ამას ჩემი დღევანდელი გამარჯვებაც შეუწყობს ხელს“ (ელგუჯა ბერიშვილი. ჟურნალი „ჩემპიო-ნი,“ 1992 წელი).


ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე სანუკვარი ოქროს მოპოვების შემდეგ 28 წლის ლერი ხაბელოვი „დამსახურებულ პენსიაზე“ არ გასულა — აქტიურ სპორტში დარჩა. თუმცა, 1995 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის პრიზიორობას თუ არ ჩავთვლით, ძველებური ხმაურიანი წარმატებებისთვის აღარ მიუღწევია.


1996 წელს ვალმოხდილი ლერი ხაბელოვი აქტიური სპორტიდან სამუ-დამოდ წავიდა.

ხაბელოვის ოპონენტები და კრიტიკოსები, მორცხვად, მაგრამ მაინც აღნიშნავენ რომ 1991 წლიდან, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის მი-




ნამიც და  
ლერი ხაბელოვი  
მეტოქეს ხალიჩაზე  
დაანარცხებს





ბარსელონის ოლიმპიური  
თამაშების ფინალი —  
ლერი ხაბელოვი და  
პეიკო ბალცი (გერმანია).  
1992 წელი



2:1 — ოლიმპიურ  
ფინალში ლერი ხაბელოვმა  
ასეთი ანგარიშით  
დაამარცხა გერმანელი  
ჰეიკო ბალცი.  
ბარსელონა, 1992 წელი

დებიდან, სახელოვანმა სპორტსმენმა თავისი სპორტული კარიერა სამშობლოში, საქართველოში აღარ გააგრძელა და სავარჯიშოდ რუსეთის ფედერაციაში დარჩენა ამჯობინა.

ერთი შეხედვით, თითქოს სამართლიანი საყვედურია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით და მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი ადამიანებისთვის. გავიხსენოთ, რა ვითარება სუფევდა საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში — რევოლუციური ეიფორია, ეთნიკური შეუწყნარებლობა, სამოქალაქო დაპირისპირება, შიში, შიმშილი და უსამართლობა.

ლერი ხაბელოვი არ გახლავთ ერნესტო ჩე გევარა, რევოლუციური დროშა რომ ააფრიალოს. იგი მამაცი ადამიანია, მაგრამ არ არის „ბოევიკი“ და მისი საპრძოლო თავგანწირვა, უბრალოდ, არაფრის მომტანი და, მაპატიეთ, ცოტა კარიკატურული ხასიათისა იქნებოდა. თუმცა, მთავარი



ეს მაინც არ არის. მთავარი ის არის, რომ იმ პერიოდში საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში, ქართველი ურა-პატრიოტების სამიზნედ ქცეული ლერი ხაბელოვი უეჭველად აღმოჩნდებოდა სცილას და ქარიბდას, ანუ მის სამშობლოში აბობოქრებული ეთნიკური დაპირისპირების ეპიცენტრში. ხოლო ორივე დაპირისპირებული მხარე მისგან, მსოფლიო სახელის მქონე ავტორიტეტისგან, უეჭველად მოითხოვდა, სულ მცირე, პოლიტიკური განცხადებების კეთებას. უფრო ზუსტად, ერთი მხარის „გათეთრებას“ და მეორის — „გაშავებას“; ერთის გამართლებას და მეორის დაგმობას. ნებისმიერ შემთხვევაში, მანამდე უმწიკვლო რეპუტაციის ხაბელოვის სრული დისკრედიტაცია გარანტირებული იყო.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ იმ პერიოდის საქართველოში არავითარი, აბსოლუტურად არავითარი პირობა არ არსებობდა მეტ-ნაკლებად ნორმალური წვრთნა-ვარჯიშისთვის, რაც ჰაერივით აუცილებელი იყო პროფესიონალი სპორტსმენისთვის, მომავალი ოლიმპიური ჩემპიონისთვის.

მოკლედ, 1996 წელს ლერი ხაბელოვი აქტიურ სპორტს გამოეთხოვა, მოსკოვში დასახლდა და ძალა ახლა ბიზნესში სცადა. როგორც ვიცი, არცთუ წარუმატებლად. რუსეთში, ამ დიდ, ამოუნურავი ბუნებრივი რესურსების ქვეყანაში, მას უდიდესი პერსპექტივა ელოდა. არც ხელისუფლების მხარდაჭერა და პატივისცემა აკლდა.

მაინც გულმა იქით გამოუნია, სადაც მშობლიური სახლი, მშობლიური სკოლა, ბავშვობის მეგობრები, ნახერს მოყრილი საჭიდაო მოედანი, ჩახჩახა მზე და წინაპართა საფლავები ეგულებოდა; სადაც ფეხი აიდგა, სადაც პირველი გამარჯვების, პირველი სიყვარულის სიტკბო იგემა.

ლერი ხაბელოვი სამშობლოში დაბრუნდა — მშიერ, ლარიბ, რევოლუციებით დაღლილ, ბუნდოვანი მომავლის მქონე სამშობლოში.

დაბრუნდა, რათა თავისი დიდი გამოცდილება, ნიჭი, ენერგია და შრომის სიყვარული თავისი ქვეყნის სამსახურში დახარჯა.

1998 წელს 34 წლის ლერი ხაბელოვი საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაინიშნა; 2000 წელს იმავ-

დროულად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი გახდა, 2004 წელს — პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

\* \* \*

მართალი გითხრათ, არ ვიცი, რა როლი შეასრულა (ან, საერთოდ, შეასრულა თუ არა რაიმე როლი) საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტად ხაბელოვის არჩევაში იმ კაცმა, ვისი სახელის ხსენებასაც დღეს ერიდებიან ის ადამიანებიც კი, ვინც გუშინ მასთან მიტმასხებას, თუნდაც მის ჩრდილში ყოფნას ღვთის წყალობად და ბედნიერებად ალიქვამდნენ. იმ „ბედნიერთა“ შორის, უმაღლესი რანგის და წვრილფეხა ჩინოვნიკთა გარდა, მრავლად იყვნენ გაპოლიტიკოსებული ცნობილი სპორტსმენებიც, ცნობილი უურნალისტებიც, იურისტებიც და ეგრეთ წოდებული „სპორტული მოხელეებიც“ — რევოლუციური ეიფორიის ღვიძლი შვილები. აი, ისინი, ვისაც ჯერ კიდევ საუკუნენახევრის წინათ გენიალური ალექსანდრე დიუმა „მტაცებელ ფრინველებს“ უწოდებდა.

იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორი ადამიანის, ბადრი პატარკაციშვილის და ლერი ხაბელოვის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის და მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტის, მსოფლიო მნიშვნელობის მილიარდელის და მსოფლიო სახელის მქონე სპორტსმენის, მეცენატის და სპორტის ავ-კარგის მცოდნის თანამშრომლობა ქართულ სპორტს დიდად წაადგებოდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2008 წელს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, მთლიანად ქართული სპორტის ინტერესები ქართულ პოლიტიკურ ბაქსანალიას შეენირა. ჩემი აზრით, სავსებით უნიადაგო უნდა იყოს ხაბელოვის, როგორც სეოკის პირველი ვიცე-პრეზიდენტის წინააღმდეგ აგორებული კამპანიის მის ეთნიკურ ისურ წარმოშობასთან დაკავშირება. უპრალოდ, ხაბელოვი უნებურად აღმოჩნდა იმ ციტადელის ხელმძღვანელი, რომლის



შტურმით აღება გადაეწყვიტა ხელისუფლებას. უფრო პროზაულად — საქართველოს ხელისუფლებას სურდა საკუთარი დიქტატისთვის დაექვემდებარებინა დამოუკიდებელი სპორტული ორგანიზაცია. რატომ ჰქონდა ასეთი სურვილი, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ყველაზე სამწუხარო ამ ისტორიაში ის გახლავთ, რომ ამ კამპანიაში ჩათრეული აღმოჩნდა სეოკის ბევრი გავლენიანი, საზოგადოებისთვის ფრიად საპატივცემო წევრი.


ნიჭიერმა და მრავლისმნახველმა კაცმა, ლერი ხაბელოვმა უთუოდ ყველაზე უკეთ უწყის, რომ ეს უცნაური ბრძოლა მიმართული იყო კონკრეტული თანამდებობის პირის წინააღმდეგ მისი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს ხელისუფლებამ „ობიექტი“ პირველივე შტურმით ვერ აიღო და ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, ლერი ხაბელოვის დამსახურება.

ერთი იმ მცირერიცხოვანთაგან, ვინც გაბედა წინ საჯაროდ აღდგომოდა ხელისუფლების თავგასულობას, დაპირისპირებოდა პარტიულ ფუნქციონერთა უგუნურებას და დაეცვა ქვეყნის ინტერესები, აღმოჩნდა მსოფლიო ჭადრაკის სიამაყე ნონა გაფრინდაშვილი. საბოლოო შედეგის მიუხედავად, ლერი ხაბელოვმა, ნონა გაფრინდაშვილმა და სხვებმა ქართულ საზოგადოებას გარკვევით უთხრეს, რომ ნებისმიერი „კარგი“ ხელისუფლების წინაშე პირმოთნეობა და კონფორმიზმი სამარცხვინო საქციელია და ადრე თუ გვიან მწარედ დაისჯება კიდეც. ამიტომ დარჩებიან ისინი სამშობლის ინტერესებისთვის უანგაროდ მებრძოლების ეტალონებად, ამიტომ არიან ისინი დიდი ადამიანები.

ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებამ თავისი გაიტანა — საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ლერი ხაბელოვი პოსტიდან „გადაირჩიეს“!

ლერი ხაბელოვი: „ვინ დამიჯერებს რომ ვთქვა, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ზოგიერთი წევრის (ნახევარზე მეტის!) დამოკიდებულებამ გული არ მატკინა-მეთქი. რა თქმა უნდა, ძლიერ საწყენია, როცა მოულოდნელად შენი კოლეგა, მეგობარი და თანამოსაქმე დაგიპირისპირდება.





იმათზე ვამბობ, ვინც მართლაც მეგობარი, კოლეგა და თანამოსაქმეა და არა სპეციამსახურების მიერ მოგზავნილი პროვოკატორი.

ყველა წესიერ ადამიანს გმირობას ვერ მოთხოვ. ყველას ვერ მოთხოვ და ყველას არც შეუძლია იყოს ნონა გაფრინდაშვილი.

დარწმუნებული ვარ, ბევრი იმათგანი, ვინც „არჩევნებზე“ ხმა ხაბელოვის წინააღმდეგ მისცა, ჩვეულებრივ საქმიან ვითარებაში ასე არ მოიქცეოდა — საკუთარი კომპეტენციის შესაბამისად და სინდისის კარნახით იმოქმედებდა.

დიდად მნიშვნელოვანი ის კი არ არის, მე რომ გადამირჩიეს, მნიშვნელოვანი და ტრაგიული ის არის, რომ ქვეყანაში შეგნებულად შეიქმნა ექსტრემალური ვითარება, რომელიც ადამიანს საკუთარი ნების და სინდისის წინააღმდეგ წასვლას აიძულებს.

სამმართველო სისტემა, ხელისუფლება არ უნდა იყოს დაინტერესებული ქვეყანაში ისეთი ვითარების შექმნით და შენარჩუნებით, რაც ადამიანის არსებაში დაბუდებულ მახინჯ ვნებებს გააღვიძებს. თუ მართლაც დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოს აშენება გინდა, მოქალაქეს მშვიდად და უშიშრად განსჯის პირობა უნდა შეუქმნა. სხვანაირად ადამიანთა საზოგადოება მგლების ხროვად გადაიქცევა და ქვეყანა თავზე დაგვემხობა.

ჰო, ჩემი კოლეგების საქციელმა თავის დროზე გული მატკინა. მართალი გითხრათ, ცოტა გამიკვირდა კიდეც, მაგრამ გეფიცებით, გულში წყენა არ დამრჩნია — ისინი ხომ საკუთარი გულის კარნახით არ მოქმედებდნენ...

მეტი რომ არაფერი ვთქვათ, უცნაურია, რომ არც რევოლუციურმა და არც მისმა წინამორბედმა ხელისუფლებებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად ხაბელოვის ავტორიტეტი არ გამოიყენეს. შევარდნაძის შეშინებულმა ხელისუფლებამ, ვფიქრობ, ეს ვერ მოიფიქრა, მის მემკვიდრე ხელისუფლებასთან დაკავშირებით კი საქმე სულ სხვა ფენომენთან უნდა გვქონდეს.

არ ვამტკიცებ, რომ ლერი ხაბელოვი რაღაც ჯადოსნურ სიტყვას იტყოდა და გულაჩუყებული ცხინვალის ხელისუფლება მაშინვე კარს სიხა-

რულით გაგვიღებდა. ასე, რა თქმა უნდა, არ მოხდებოდა, მაგრამ ადათ-ნესების პატივისმცემელი ოსებისთვის ხაბელოვი არის გმირი, რეალური ავტორიტეტი. გაჰყვებოდნენ თუ არა, ძნელი სათქმელია, მაგრამ მის სიტყვას ქარს არ გაატანდნენ, დასკვნების გამოტანამდე უეჭველად დაფიქტდებოდნენ.

სეოკის ვიცე-პრეზიდენტობას ჩამოშორებულმა დიდმა სპორტმენმა მოღვაწეობის გაგრძელება ქართულ პოლიტიკაში სცადა.

ლერი ხაბელოვი: „ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული კონფლიქტები გარედან, რუსეთიდან არის ინ-სპირირებული. ისიც ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დამოუკიდებელი ოსური ჯუჯა სახელმწიფოს შექმნა აბსურდია, დამუშაველია თვითონ ოსებისთვის და არ გააჩნია არავითარი ისტორიული ლოგიკა. საერთოდ, თანამედროვე მსოფლიოში ეთნიკური ნიშნით სახელმწიფოების შექმნა, საზღვრების შეცვლის მცდელობაც კი, კაცობრიობას უდიდესი პრობლემების წინაშე აყენებს.

საქართველოს ხელისუფლება სამართლიანად ამტკიცებს (და მთელი პროგრესული კაცობრიობაც ამასვე ადასტურებს), რომ ცხინვალის ოლქი არის საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი. ერთადერთი ქვეყანა, უფრო ზუსტად, ხელისუფლება, არის რუსეთი, რომელიც ამას არ ეთანხმება და ვიცით, რატომაც არ ეთანხმება.

რატომ სერიოზულად არ ვიკვლევთ ქართულ-რუსული უმნვავესი დაპირისპირების მიზეზებს? დიახ, რუსეთი რატომდაც შურს იძიებს საქართველოზე; ტერიტორიული თვალსაზრისით, მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა რატომდაც იარაღით ხელში იბრძვის სადღაც, კავკასიონის ქედის გადაღმა მთებში ჩაკარგული ერთი ბეწო ტერიტორიისა და იმ ხალხისთვის, გულზე სულაც რომ არ ეხატება. რა არის ეს „რატომდაც“?

საქართველოს ხელისუფლება რატომ იტეხს თავზე რუსული ცეცხლის ნიაღვრებს და რატომ ათარებებს ქვეყანაში საოკუპაციო ჯარებს?.. საერთოდ, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის განმავლობაში, სახელი-



სუფლო დონეზე შექმნილა თუ არა კონფლიქტების მოგვარების რაიმე რეალური გეგმა?“

ლერი ხაბელოვი უაღრესად საჭიროა ქვეყნისთვის, სახელმწიფოს-თვის, მაგრამ, ამავე დროს, უკიდურესად მიუღებელია ავტორიტეტების მოძულე ხელისუფლებისთვის.

ის ფაქტი, რომ არჩევნებში რესპუბლიკელებმა ლერი ხაბელოვის სახელის გამოყენება სცადეს, უდავოდ მისასალმებელია და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ პარტიის წინდახედულებას. რაც შეეხება არჩევნებში მათ ფიასკოს, ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა.



სხვადასხვა თაობის ოთხი  
უძლიერესი მოქმდავე —  
ლერი ხაბელოვი,  
დავით ციმაჯურიძე,  
ლევან თედაშვილი  
და სოსლან ანდიევი

ლერი ხაბელოვი: „რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობამ, პირა-დად ბატონმა დავით უსუფაშვილმა დამარწმუნეს, რომ არჩევნებში ჩემი მონანილეობა ქვეყნისთვის სასარგებლო იქნებოდა — პარლამენტში სოლიდური ოპოზიციური ფრაქციით მოხვედრის შემთხვევაში, მოვლენათა განვითარებაზე ზეგავლენის სერიოზული შანსი გაჩინდებოდა. სამწუხა-როდ, ასე არ მოხდა. არჩევნებისთვის მოსამზადებლად, მმართველის გარდა, ყველა სხვა პარტიას კატასტროფულად მცირე დრო ჰქონდა. თავისი როლი ითამაშა რესპუბლიკელთა მხრიდან ხელისუფლება შესაძლო მოქმე-დების შეუფასებლობამ, საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებულად შეფასებამ, შეზღუდულმა ფინანსურმა მდგომარეობამ. და მაინც, ჩემი აზ-რით, უმთავრესი და ყველაზე გულსატკენი ის არის, რომ არჩევნებისთვის



ხელისუფლებამ ისევ ისე, ძველებურად გამოიყენა მის ხელთ არსებული ადმინისტრაციული რესურსი; მაგრამ მაინც ხომ იყო ამომრჩეველთა საკმაოდ დიდი ნაწილი (თუნდაც, 15 პროცენტი), რომელმაც ხელისუფლების სასარგებლოდ ხმა საკუთარი წეპით მისცა?! ამომრჩეველთა თითქმის ნახევარი კი არჩევნებზე, საერთოდ, არ გამოცხადდა!

რა თქმა უნდა, მესმის ჩემი თანამოქალაქებისა. ისინი დაიღალნენ, ამდენი ფუჭი დაპირების შემდეგ აღარაფრის არ სჯერათ. მათ სჭირდებათ სამართალი და პურა. ამ დროს კი, მთელი 18 წლის განმავლობაში, იძულებული არიან ექცონ არჩევანი ცუდებსა და უარესებს შორის“.

46 წლის ლერი ხაბელოვი პოლიტიკაში ჯერ ძალიან ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან ბევრის მნახველი, მომთმენი, სახელმწიფო ობრივად მოაზროვნე და მებრძოლი კაცია. იგი ოდესაში უთუოდ გახდება თვალისაჩინო ფიგურა, თუკი სამოლვანეო სფეროდ საბოლოოდ პოლიტიკას აირჩევს.

ისევე, როგორც შეეძლო ყოფილიყო სახელგანთქმული მეცნიერი, მწერალი, ჟურნალისტი, გენერალი ან რელიგიური მოღვაწე.

იმიტომ, რომ ლერი ხაბელოვი არის დიდი ადამიანი. დღეს იმიტომ კი არ არის დიდი ადამიანი, რომ გუშინ დიდი სპორტსმენი იყო, არამედ, იმიტომ იყო დიდი სპორტსმენი, რომ იგი დიდ ადამიანად დაიბადა. ლერი ხაბელოვს, უბრალოდ, არ შეუძლია არ იყოს დიდი. ეს არის პასუხი კითხვაზე — ვინ იქნებოდა ლერი ხაბელოვი, სპორტსმენი რომ არ ყოფილიყო?

\* \* \*

ბოდიშს ვიხდი ყველასთან, ვინც ეს პატარა წიგნი ხელში იმ იმედით აიღო, რომ იქ დიდი სპორტსმენის — ლერი ხაბელოვის მიერ გადახდილი ათასი და ერთი ბრძოლის პერიპეტიიებს ამოიკითხავდა; „ოქროს ბიჭუნას“ — ლერი ხაბელოვის სასიყვარულო თავგადასავლებში იმოგზაურებდა; სპორტული ფუნქციონერის — ლერი ხაბელოვის და იდუმალების ბურუსში გახვეული ბადრი პატარკაციშვილის ურთიერთოებების წვრილმანებს გა-



დაგით ციმაჯურიძე,  
გურამ სალარაძე,  
ლევა კურტანიძე  
და ლერი ხაბელოვი.  
2004 წელი

ეცნობოდა; ოთხი შვილის მამის — ლერი ხაბელოვის და მისი მეულლის, ზა-  
რეთას პიკანტური ოჯახური ისტორიებით დატყბებოდა; გულს მოიფხანდა  
საბჭოთა ნაკრებში მის ყოფილ მწვრთნელებზე ყოფილ შეგირდის, ლერი  
ხაბელოვის ნაამბობით.

ვიცი, მკითხველი მოუტმენლად ელოდა, თუნდაც, ატლანტის ოლიმპი-  
ადაზე მომხდარ ამბავს, როცა იქ უდაოდ ფავორიტად ჩასულმა ხაბელოვმა  
მოულოდნელად ტრავმა მიიღო, ჩემბიონობისთვის ბრძოლას მესამე წრი-  
დან გამოეთიშა და, საბოლოოდ, მეთოთხმეტე (!) ადგილზე აღმოჩნდა.

კურიოზიების მოყვარულებს უთუოდ გაახალისებდა ხაბელოვის ინ-  
დური ოდისეის გახსენებაც, როცა მილიარდიან ქვეყანაში საჩვენებელი  
გამოსვლებისთვის ჩასულ საბჭოთა მოჭიდავების ნაკრებს მეფური დახ-  
ვედრა მოუწყვეს და შეხვედრების ჩატარება დარბაზში კი არა, სტადიონ-  
ზე შესთავაზეს. ხაბელოვის სპარინგ-პარტნიორად კი ინდოეთის სიამაყე,  
150-კილოგრამიანი გიგანტი შეარჩიეს.

რა დიდი უნდა ყოფილიყო ინდოელების განპილება, როცა ქართველმა  
ფალავანმა ინდოელ დევეაცს ერთხანს რაღაც კატა-თაგვობანას მსგავსი  
რამ ეთამაშა, მერე ჰაერში აიტაცა და ათიათასობით მაყურებლის თვალწინ



საჭიდაო ხალიჩას ცარიელ ტომარასავით დააბერტყა; გაოცებული ინდოელი გულშემატკივრები როგორ ცდილობდნენ, ხელით მოესინჯათ ხაბელოვის სხეული, აქაოდა, ადამიანი კი არა, რამე მტკიცე ლითონისგან ნაკეთები რობოტი არ იყოსო...


რა თქმა უნდა, ასეც შეიძლებოდა და ჭიდაობის მოტრფიალე მკითხველისთვისაც, ალბათ, ასე სჯობდა. მაგრამ მაშინ გამიჭირდებოდა მეთქვა, ვინ არის ლერი ხაბელოვი საჭიდაო ხალიჩის მიღმა, რას ნიშნავს ეს კაცი, საერთოდ, რას ნიშნავს ამნაირი კაცები საქართველოსთვის.

არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ რის თქმაც მინდოდა, ყველაფერი ვთქვი, ან თუ ვთქვი — კარგად ვთქვი.

მომავალში ამას ვინმე სხვა, ალბათ, ჩემზე უკეთ გააკეთებს.

## ლერი ხაბელოვი

დაიბადა 1964 წლის 5 ივნისს თბილისში. თავისუფალი სტილის მოჭიდავე (100 კგ). XXV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1992, ბარსელონა), XXIV ოლიმპიადის მეორე პრიზიორი (1988, სეული), მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1985, 87, 90, 91, 93) და მესამე პრიზიორი (1995), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1985, 87, 88, 92), მსოფლიოს თასის მფლობელი (1991), მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკება (1982) და ახალგაზრდებს (1983) შორის, სსრკ სამგზის ჩემპიონი (1985, 87, 88), სსრკ ხალხთა IX სპარტაკიდის ჩემპიონი (1986). 1993-96 წლებში გამოდიოდა რუსეთის სახელით. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი.



### LERI KHABELOV

Freestyle wrestler (100kg), was born on July 5, 1964 in Tbilisi. He was a champion of XXV Olympic Games (Barcelona, 1992) and silver medallist of XIV Olympics (Seoul, 1988). Khabelov was five-time world champion (1985, 1987, 1990, 1991, 1993) and bronze medallist (1995), four-time champion of Europe (1985, 1987, 1988, 1992), world cup winner (1991), world champion among the youth (1982) and juveniles (1983). He was three-time USSR champion (1985, 1987, 1988) and champion of the 9th USSR sports and athletics meeting (1986). During 1993-1996 he represented Russian national team. Khabelov was the USSR Honored Master of Sports. He was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class and Order of Honor.